ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8010531

ნომერი: AR11136690

თარიღი : 02.04.2026

გაცემის თარიღი : 20.07.2026

გაცნობის თარიღი : 20.07.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იუნკერ შალვა ერისთავის I ჩიხი, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გუგეშაშვილი პ/ნ 01026003677
- თბილისი, სვიმონ ჩიქოვანის #2

ნომენკლატურა :

- საგამოფენო დარბაზი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საგამოფენო დარბაზი და მისი დამხმარე შენობა ნაგებობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი მონიავა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენი საკითხი და განხილვის შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი სახის ხარვეზები, კერძოდ:
1. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-12-ე მუხლის შესაბამისად არქიტექტურული ესკიზი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის დოკუმენტაციას:

- შენობის გეგმებზე დაიტანეთ შენობების ნიშნულები სრულად. გეგმარება და ვიზუალი შეუსაბამეთ.
- გ) შენობა-ნაგებობის მახასიათებელ სქემატურ ჭრილებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული ზომების, ძირითადი ვერტიკალური ნიშნულების, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ჩვენებით);
- დ) შენობა-ნაგებობის ფასადების სქემატურ ნახაზებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული ზომების, ძირითადი ვერტიკალური ნიშნულების, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ჩვენებით, ასევე, ფასადებზე გამოყენებული ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალისა და მათი ფერების მითითებით).

ე) შენობა-ნაგებობის აქსონომეტრიულ ნახაზს ან/და ფოტომონტაჟს (ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალისა და მათი ფერების მითითებით).
შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მათშორის: მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობს, შენობა-ნაგებობის ფართობს და შენობანაგებობის კლასის განმსაზღვრელ პარამეტრებს. საჭიროა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულ იქნას ფუნქციური ზონისთვის დადგენილი კ-3 კოეფიციენტის მაჩვენებელი 0,8. წარმოადგინეთ სიმაღლის ანგარიში. მიუთითეთ ზომები. კოეფიციენტების ანგარიში წარმოადგინეთ.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.